ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 აგვისტოს №664 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულიების" 226 -ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის, გადაყვანა/აღდგენის წესით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის 2009 წლის 19 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით განისაზღვროს რეგისტრაციის ვადა შემდეგ ფაკულტეტებზე:
ა) საბაკალავრო პროგრამებზე: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი;
ბ) სამაგისტრო პროგრამებზე: ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტი, ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი.
2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის, ამ ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ განცხადება შემდეგი თანდართული დოკუმენტებით:
ა) პირადობის მოწმობის ასლი;
ბ)ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ პირი არის ამ დაწესებულების სტუდენტი, კურსისა და ფაკულტეტის მითითებით;
გ) ატესტატის ასლი;
დ) ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი;
ე)უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების ასლი;
ვ) ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების და მიღებული შეფასებების შესახებ.
3. დაევალოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ფაკულტეტის დეკანებს 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის გადაყვანა/ აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა დოკუმენტების განმხილველი და სტუდენტთა მიერ გავლილი სასწავლო

კურსების მიმღებ უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში არსებულ პროგრამებთან შესაბამისობების დამდგენი კომისიის შექმნა.
4. განისაზღვროს ვადა წერილობითი გამოცდისათვის (ესსე) 2009 წლის 15 ივლისი 11: 00 საათი.

რექტორი გიგი თევზაძე